მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი 22-2014-4

(ურთიერთთანამშრომლობის შესახებ)

ერთის მხრივ კომპანია "ელიტ მოტორსი" (შემდგომში წოდებული, როგორც "ელიტ მოტორსი") წარმოდგენილი მისი გენერლური დირექტორის ზვიად ანთელიძის სახით და მეორეს მხრივ, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი" (შემდგომში წოდებული, როგორც „სტუ"), წარმოდგენილი მისი რექტორის არჩილ ფრანგიშვილის სახით, შემდგომში ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთად – როგორც „მხარეები", ვაფორმებთ წინამდებარე მემორანდუმს (შემდგომში „მემორანდუმი"),

ვინაიდან:

- მხარეებს სურვილი აქვთ ითანამშრომლონ საქართველოში სამშენებლო ტექნიკის, მათ შორის, მძიმე მიწასათხრელი, მიწასათხრელ-სატრანსპორტო, ამწე-სატრანსპორტო მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციის, მოდერნიზაციის, რეანიმაციის და რემონტის უზრუნველყოფისა და ხელშეწყობის მიზნით სამშენებლო-საგზაო და სამრეწველო-სამოქალაქო მშენებლობის სფეროში; არსებული მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების დაძლევისა და საგანმანათლებლო საფუძვლების შექმნის საქმეში;
- „სტუ" წარმოადგენს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დამფუძნებელს, რომელიც მოწოდებულია იზრუნოს საქართველოში სამშენებლო-საგზაო და ამწე-სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის (შემდგომში „სამშენებლო ტექნიკის") დარგის განვითარების ხელშეწყობისათვის;
- "ელიტ მოტორსი" საწამოო ტექნოლოგიური პროცესები უშუალოდ დაკავშირებულია სამშენებლო, სამშენებლო-საგზაო და ამწე-სატრანსპორტო მანქანების რეალიზაციებთან, რემონტთან, მომსახურეობასთან და მასთან დაკავშირებულ მანქანა-მოწყობილობების ეფექტურად გამოყენების საქმიანობასთან;
- სტუ"-ს აქვს შესაბამისი გამოცდილება, ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის თანამშრომლები და სტუდენტები;
- სტუ"-ს აქვს სამშენებლო-საგზაო მშენებლობისათვის საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი და შრომის თავისუფალ ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების გამოცდილება.

1. მხარეები ვთანხმდებით შემდეგზე;

1.1. მხარეები განსაზღვრავენ ურთიერთთანამშრომლობის სტრატეგიას და წაახალისებენ საქართველოში სამშენებლო-საგზაო, ამწე-სატრანსპორტო და კომუნალური მანქანათმშენებლობის დარგის განვითარების ხელშეწყობას ორმხრივი ინტერესების სფეროში.

1.2. მხარეები ყოველმხრივ ხელს შეუწყობენ თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას და განახორციელებენ ურთიერთსანაცვლო ვალდებულებებს.

2. მოცემულ მემორანდუმზე დაყრდნობით, თავის შესაძლებლობის ფარგლებში "ელიტ მოტორსი" იღებს ვალდებულებას:

2.1. შეძლებისდაგვარად დაეხმაროს „სტუ"-ს სამშენებლო ტექნიკის განვითარებისათვის მიმართული სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებაში;

2.2. შეძლებისდაგვარად დასახოს ღონისძიებები, რათა „სტუ"-ში შეიქმნეს ერთობლივი სასწავლო ლაბორატორიული ბაზა პროფესიული კადრების მომზადებისათვის;

2.3. შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს „სტუ"-ს სატრანსპორტო და მანქანათ-მშენებლობის ფაკულტეტისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა, სპეციალური ტექნიკური ხელსაწყოებისა, თუ მცირე ლაბორატორიების გადაცემის გზით;

2.4. შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს „სტუ"-ს სტუდენტების ყოველ-წლიური პრაქტიკის გავლა "ელიტ მოტორსის" საწარმოში, ხოლო ვაკანსიის შემთხვევაში, მიიღოს კურსდამთავრებული სტაჟირებაზე;

2.5. პრაქტიკის გავლის პროცესში განახორციელოს „სტუ"-ს სტუდენტებისათვის პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება მექანიკის პროფილით;

2.6. „სტუ"-ს სამშენებლო ტექნიკის პროფილის ერთი წარჩინებული სტუდენტი წაახალისოს შესაძლებლობის ფარგლებში, წინასწარ შეთანხმებული ფორმით, უშუალო მონაწილეობა მიიღოს ასეთი სტუდენტის შერჩევის პროცესში;

2.7. ხელი შეუწყოს „სტუ"-ს სტუდენტებს მოახდინონ თავისი ცოდნის პოპულარიზაცია;

2.8. გაუწიოს კოლაბორატიული მხარდაჭერა მაგისტრატურისა და დოქტურანტურის ეტაპზე სტუდენტების მომზადებას.

3. მემორანდუმის ფარგლებში „სტუ" იღებს ვალდებულებას განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

3.1. უზრუნველყოს "ელიტ მოტორსი" მაღალკვალიფიკაციური კადრებით;

3.2. უზრუნველყოს პრაქტიკაზე მისავლინებელ წარჩინებულ სტუდენტთა შერჩევა და "ელიტ მოტორსისათვის" წარდგენა;

3.3. პრაქტიკაზე მისავლინებელ სტუდენტებს ჩაუტაროს დამატებითი სწავლება სპეციალური მომზადების მიზნით;

3.4. უზრუნველყოს ინტენსიური მუშაობა სტუდენტებთან კვალიფიციური კადრების შერჩევის მიზნით;

3.5. ხელი შეუწყოს სამშენებლო ტექნიკის ექსპლუატაციის პროცესებთან დაკავშირებულ პრობლემების პრიორიტეტულ ასახვას თავის კვლევით საქმიანობაში;

3.6. მოთხოვნილების შემთხვევაში მოამზადოს "ელიტ მოტორსის" ახალგაზრდა სპეციალისტები მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში, არსებული წესით

გადახდის შემთხვევაში;

3.7.„სტუ“-ს პროფესორ-მასწავლებლები და მეცნიერ-თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ “ელიტ მოტორსის” სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტაში.

4. მხარეები თანხმდებიან, რომ “ელიტ მოტორსი”არ იღებს ვალდებულებას სტუდენტების მიერ საწარმოოს შინაგანაწესის, უსაფრთხოების დაცვისა და შიდა ინსტრუქციების დარღვევის შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე, პასუხისმგებლობა ეკისრება უშუალოდ სტუდენტს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

5. მემორანდუმი არ წარმოშობს მხარეთა შორის რაიმე ფინანსურ ვალდებულებას. იგი მოქმედებს ხელმოწერის დღიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე, თუ მემორანდუმის ხელმომწერი ერთ-ერთი მხარე მეორესათვის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე არ გადაწყვეტს შეწყვიტოს მისი მოქმედება.

6. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლარად, მათგან ერთი გადაეცემა „სტუ“-ს, ხოლო ორი რჩება “ელიტ მოტორსში”.

კომპანია “ელიტ მოტორსის”	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გენერალური დირექტორი	რექტორი
.....	.....
(ზვიად ანთელიძე)	(არჩილ ფრანგიშვილი)